პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 მარტი, შაბათი, 1988 წ.
№ 46 (9713) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს თბილისში გაიმართება საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ კალგარის XV ზამთრის ოლიმპიური თამაშების დამთავრებასთან დაკავშირებით ოლიმპიური მოძრაობის სახელით მოგილოცოთ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ კანადაში მოპოვებული ღირსშესანიშნავი სპორტული შედეგები. დარწმუნებული ვარ, ეს შედეგები ხელს შეუწყობს ოლიმპიური იდეალების როლის განმტკიცებას თქვენს ქვეყანაში და, ამგვარად, წარმოადგენს ახალ წინგადადგმულ ნაბიჯს მთელ მსოფლიოში თანამეგობრობის, ძმობისა და მშვიდობის მიღწევის გზაზე.

პატივისცემით,

**ხუან ანტონიო სამარანჩი,**
**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.**

# კალგარი... ბაკურიანით დაიწყო

## მადლობა მასპინძლობისათვის,

### ამას ბაკურიანიდან გამგზავრების წინ ამბობდნენ:

**1956 წლიდან** მოყოლებული საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდები თეთრი ოლიმპიადებისათვის ტრადიციულად ბაკურიანში ემზადებიან. ისინი აქ, როგორც წესი, მზადების ბოლო ეტაპს გადიან ხოლმე. როგორც თვით სპორტსმენები, ისე მწვრთნელები და საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენლები ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევენ მასპინძელთა მეცადინეობას — საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს, ბორჯომის რაიონის, თვით ბაკურიანელთა ყურადღებას.

ჩვენ გვახსოვს, ადრეც რა დიდი მადლობის გრძნობით იხსენიებდნენ ისინი პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის საშუალებით ჩვენი რესპუბლიკის წვლილს საბჭოთა ზამთრის ოლიმპიელების გამარჯვებაში (მოთხილამურე მრბოლელთა ნაკრების ყოფილი უფროსი მწვრთნელი ვენიამინ კამენსკი და სხვა).

ასე იყო ამჯერადაც. დღეს, როცა საბჭოთა ოლიმპიელების ტრიუმფით დამთავრდა კალგარის ოლიმპიადა, მკითხველებს გვინდა გავაცნოთ მადლობის ის სიტყვები, რომლებიც ბაკურიანიდან გამგზავრების წინ გამოთქვეს ნაკრების მწვრთნელებმა.

მაშ ასე...

**ვიქტორ ივანოვი** — სსრ კავშირის მოთხილამურე მრბოლელთა ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი:

— შეჯიბრება „ბაკურიანის თასზე" კარგად იყო ორგანიზებული. რაიონული ხელმძღვანელობაც ყოველნაირად გვიწყობდა ხელს. უაღრესად კმაყოფილი ვართ ბაკურიანელთა მასპინძლობითაც და ჩვენი შედეგებითაც. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ჩვენმა ოლიმპიელებმა კალგარში წარმატებით იასპარეზონ.

**ალექსანდრე პრივალოვი** — სსრ კავშირის ბიატლონისტთა ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი:

— საბოლოოდ ბაკურიანში შემოწმდა ჩვენი ოლიმპიელების შესაძლებლობები, ქართველმა მეგობრებმა ყველაფერი ილონეს. ჩვენ

იხ. მე-3 გვ.

# პროფკავშირების სპორტსაზოგადოების პერსპექტივები

ჩვენ დღეს გარდაქმნის ეპოქაში ვცხოვრობთ, რომლის მთავარი დანიშნულება ყველასთვის ცნობილია — თამამად ვთქვათ უარი ყოველგვარ დრომოჭმულზე, უარვყოთ ყველაფერი რაც ხელს გვიშლის წინსვლაში, დავამკვიდროთ დემოკრატია და საჯაროობა.

ყველა ღონისძიება, რაც პარტიის პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად ხორციელდება, უწინარეს ყოვლისა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისკენაა მიმართული. ეს უზენაესი მიზანი გახლავთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და სფეროში. არც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. ბოლო ხანებში მომხდარი ცვლილებები ქმნის იმის გარანტიას, რომ თამამად და საფუძვლიანად დავადგეთ მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის გზას. აი, აქ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა პროფკავშირებმა, მისმა სპორტულმა საზოგადოებამ.

ადრინდელი ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ერთ პროფკავშირულ საზოგადოებად შერწყმაც გარდაქმნის ეპოქის პირმშოა. ძალა ერთობაშიაო — ნათქვამია, ახალი პროფკავშირული სპორტული საზოგადოება მართლაც მძლავრი და ღონიერი ორგანიზაციაა, რომელსაც უნარი შესწევს მოსახლეობის ფართო ფენები ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს აზიაროს. დღეს ამ სპორტული საზოგადოების განკარგულებაშია სპორტული ბაზების ფართო ქსელი მთელს რესპუბლიკაში. ახლა უმთავრესი ამოცანაა ის, რომ ეს ბაზები სრულად ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში, ცხადია, ხსენებული ბაზები წარმოადგენენ სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატების ცენტრებსაც. საზოგადოების სპორტსმენებს კი თავისი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკისა და ქვეყნის სპორტულ წარმატებებში. თაობები იზრდებიან უფროსების მდიდარ ტრადიციებზე. პროფკავშირულ-სპორტული საზოგადოებისა და საერთოდ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას წარმატებით იცავენ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მოჭიდავეები: გ. გედეხაური, ბ. დარჩია, ა. ტოტიკაშვილი, გ. ხინჩაგაშვილი, ა. გაბედავა; მძლეოსნები: მ. აზარაშვილი, ხ. გუნბა, ვ. მინაშვილი; ცხენოსანი ხ. სიმონია; ტანმოვარჯიშეები: ნ. ლეშკაშელი და ლ. სისაური; ნიჩბოსნები კ. ლომიშვილი, ნ. მიქაუტაძე და გ. სირბილაძე; სინქრონული ცურვის წარმომადგენლები: ხ. ფალასანიდი და ლ. მამიაური; ჩოგბურთელი ლ. მესხი; მოკრივეები, წყალში მხტომელები, მოჭადრაკეები... ყველას ვერ ჩამოთვლი.

დღეს გაიმართება საქართველოს პროფკავშირების სპორტული საზოგადოების პირველი ყრილობა. ის, რომ ეს ყრილობა პირველია, უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავს. დღევანდელ ფორუმზე, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში, მკაფიოდ გამოიკვეთება კონკრეტული გეზი და მიმართულება, გამოიკვეთება ახალი პერსპექტივები, რომლის ხორცშესხმა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის უახლოესი და მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება.





საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის დელეგატები რეგისტრაციის დროს. მარცხენა სურათზეა დავით კვაჰაძე, შუაში — ვლადიმერ გოგოლაძე (მარჯვნივ) და მისი მწვრთნელი ნ. კვეტენაძე, მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ ნანა იოსელიანს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საბჭოთა აფხაზეთი 67 წლისაა

# სპორტული მიღწევებითაც ამაყობენ

**დიდია** აფხაზეთის დამსახურება რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინსვლა-განმტკიცებაში. აფხაზეთის სპორტსმენებმა იმთავითვე მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი რესპუბლიკისა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. აფხაზეთთან ერთად მთელი საქართველო და ქვეყანა ამაყობს მსოფლიოს თვალსაჩინო სპორტსმენის ვიქტორ სანეევის მიღწევებით, რომელთა გვირგვინიცაა ამ შესანიშნავი სპორტსმენის მიერ მოპოვებული სამი ოლიმპიური ოქროს მედალი. მძლეოსნობის სამყაროს თავი დაამახსოვრა აფხაზმა გოგონამ საიდა გუნბამ, რომელმაც მოსკოვის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ ძალოსანი რუსლან ტარკილი, ტყვიის მსროლელი კარლო დარასელია, სამბოში მსოფლიო ჩემპიონი გახდა სერგეი ტერნოვიხი, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის პირველობა მოიგო რამ ხუტაბამ. გავიხსენოთ შესანიშნავი მხედრები ანზბა ზალატინსკი, აქვსენტი ტარბა, ენვერ ლაკოია, რომელთა ტრადიციებს წარმატებით აგრძელებს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრი, გუდაუთელი ხარლამ სიმონია. ცხადია, ცნობილ სპორტსმენთა სია ამით არ ამოიწურება. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ აფხაზეთის დამსახურება ჩვენი ფეხბურთის განვითარებაში. აფხაზეთის კლიმატური პირობები, შავი ზღვის სანაპიროს უაღრესად ხელსაყრელი მდებარეობა, მწვანე მინდვრები, მდიდარი ტრადიციები შესანიშნავ პირობებს ქმნის ფეხბურთის სათამაშოდ. აქ, ამ მხარეში, იზრდებიან უმაღლესი კლასის ოსტატები, რომლებიც ამშვენებენ არა მარტო სოხუმის, გაგრის, ოჩამჩირისა და სხვა აქაური საფეხბურთო ცენტრების გუნდებს, არამედ წარმატებით გამოდიან საქართველოს სხვა კოლექტივებშიც.

აფხაზეთის ფეხბურთელები მუდამ საიმედო შემწედ ედგნენ მხარში თბილისის „დინამოს", მათ მუდამ ჰქონდათ დამკვიდრებული ღირსეული ადგილი გუნდის შემადგენლობაში და დიდი წვლილიც შეიტანეს თბილისის „დინამოს" წარმატებებში.

თბილისის დინამოელთა შემადგენლობაში სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ცნობილი ფეხბურთელები: ა. ლოლობერიძე, ნ. ძიაპშიპა, ვ. სანაია, ა. მარღანია, ა. ტყებუჩავა, ა. მინჯია, ბ. ხასაია, ი. ვარდიმიადი, ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, ვ. დარასელია, გ. გავაშელი, ი. გრამატიკოპულო, ა. ილიადი, ა. ნორაკიძე, ი. კურტანიძე, ზ. სოტკილავა, ი. უსტაბაშიდი და სხვანი. თბილისელთა რიგებში ახლაც გამოდიან ა. ცვეიბა, ჯ. გუბაზი, მ. ჯიშკარიანი, თ. ქეცბაია, ს. თარბა, რომლებზეც დიდ იმედს ვამყარებთ.

# საქართველოს რეკორდით

ამას წინათ გამართულ საქართველოს მოცურავეთა ზამთრის ჩემპიონატის მიმოხილვისას ქებით მოვიხსენიეთ თბილისელი როლანდ ხვადაგიანი (პროფკავშირები).

სასიამოვნოა, რომ როლანდმა ჩვენი იმედები მოსკოვში გამართულ მოცურავეთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატშიც გაამართლა. ამ ასპარეზობაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა ორი საპრიზო ადგილი დაიკავა.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კონსტანტინ რეშეტნიაკის აღსაზრდელებმა იუნიორთა ფინალურ ასპარეზობაში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა და საქართველოს აბსოლუტური რეკორდიც დაამყარა — 1.54,06. ხვადაგიანი მეორე იყო ამავე სტილით 400-მეტრიან დისტანციაზე — 4.02,62.

# პროფკავშირები: ფიზკულტურა და სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენც ამ საკითხებზეც დავფიქრდეთ?

**ჩვენი** საუკეთესო პედაგოგ-მასწავლებლებისთვის დაწესებულია სხვადასხვა წოდება — „განათლების წარჩინებული მუშაკი", „რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი"... მაგრამ, როცა უცელა ამ წოდებასთან ერთად ორდენითაც გაჯილდოებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც გამორჩეული მუშაკი ხარ და სკოლასა თუ ტექნიკუმში მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილებაც გაქვს. სწორედ ასეთი აღმზრდელი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სსრ კავშირის საშუალო-სპეციალური სასწავლებლის საპატიო მასწავლებელი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი, საშუალო-სპეციალური სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური და თბილისის საგნობრივი კომისიების თავმჯდომარე, პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ყრილობის დელეგატი ნოდარ გაგოშიძე.

იგი ახლაც ნიადაგ სიახლეთა ძიებაშია, რაც სასწავლებლის ცხოვრებას უფრო ხალისიანსა და საინტერესოს ხდის. რაც მთავარია, გვეზრდება ჯანმრთელი თაობა.

ამჟამად თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებს ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელმა ახალი ამოცანა დაუსახა. ეს გახლავთ 2700-კილომეტრიანი „გარბენი" — თბილისიდან ლენინგრადამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა მოსწავლემ ეს მანძილი აქ, თბილისში უნდა დაძლიოს ყოველდღიური დავალებების შესრულების შედეგად. მათ დღეში 7-8 კილომეტრი უნდა დაფარონ. კონკურსში გამარჯვებულებს სხვადასხვა სახის დიპლომები და სიგელები ელით.

ამ სიახლეში ტექნიკუმის ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს. აღარაფერს ვამბობთ ამ სასწავლებლის მდიდარ სპორტულ ტრადიციებზე, მის სპორტკლუბ „მშენებელზე", რომელშიც 11 სხვადასხვა სექცია მუშაობს, ან იმაზე, რომ ტექნიკუმში ოცდაათამდე სპორტის ოსტატი და ორმოცდაათი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანია, რომ მშენებლები უკვე რამდენიმე წელია არ თმობენ უძლიერესის სახელს ტრადიციულ მძლეოსნურ ასპარეზობაში — „თბილისის რკალი" და ა. შ.

ახლა მოვუსმინოთ ნ. გაგოშიძეს:

— გაზეთის ფურცლებზე ჩემი გამოსვლა, — თქვა მან, — სასწავლო რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემებით მინდა დავიწყო. ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად მიმაჩნია ის, რომ საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებს ზოგად საგანმანათლებლო სკოლებთან მეტი საერთო გვაქვს. მაშ რატომ არის, რომ სკოლის მოსწავლეების ფიზიკურ აღზრდას დიდად უწყობს ხელს ჟურნალი „მართვე" და სხვადასხვა სახის სპეციალური ბიულეტენები, რაც დიდ მეთოდურ დახმარებას უწევს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, ჩვენ კი ამ საშუალებას მოკლებული ვართ.

კარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ ჩვენი კლუბებისთვის შექმნილიყო საკოორდინაციო საბჭო მაინც, რომელიც მოგვცემდა რეკომენდაციებს ინტერესების მიხედვით, ექიმის რჩევა-დარიგებებს, გაგვიზიარებდა გამოცდილებას, რასაც დღეს მოკლებულნი ვართ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს „მშენებელში" რამდენიმე კლუბი მოქმედებს — სპორტული სიარულისა და რბენისა, აგრეთვე საერთო ფიზიკური მომზადებისა. მუშაობა სტიქიურ ხასიათს რომ არ ატარებდეს, ამისთვის გვაქვს მეთოდური კუთხე, სადაც კლუბის წევრები გამოჩენილი სპორტსმენებისა და ექიმების რჩევა-დარიგებას იღებენ. მეთოდ-კაბინეტში კი გამოფენილი გვაქვს გამაჯანსაღებელი ვარჯიშების დიაგრამები, მეთოდური სახელმძღვანელოები, აქვე არის სასწავლო ფილმები და დიაფილმები. მაგრამ ყველას ალბათ არა აქვს ამის საშუალება. აქ შენობის ფართობს ვგულისხმობ. ან იქნებ ფართობიც საკმარისად აქვთ და მონდომებაც, მაგრამ არ იციან, როგორ, რა კუთხით წარმართონ მუშაობა.

ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ მივივიწყეთ ასპარეზობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. როგორც ცნობილია, იგი პირველად 57 წლის წინათ იშვა, მას შემდეგ მრავალგზის იცვალა სახე და ახლაც გადახალისების სტადიაშია, რომლის პროექტსაც შარშან გავეცანით. მაგრამ რა დაამავა მრავალჭიდელთა შეჯიბრებამ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე? ამ საინტერესო და ყველა ასაკის წარმომადგენელთათვის ხელმისაწვდომ ასპარეზობაში ხომ მთელი მოსახლეობა ხალისით მონაწილეობდა. სტარტზე გამოდიოდნენ ჯერ შიდასაკოლექტივო რაიონული, შემდეგ კი საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო პირველობების მონაწილენი. ეს მრავალჭიდელები მთელი წლის განმავლობაში ვარჯიშობდნენ და მოძრაობდნენ, ინარჩუნებდნენ სპორტულ ფორმას. ახლა, „კომსომოლსკაია პრავდის" შეჯიბრება კალენდრიდან ამოღებულია, და ამ კომპლექსისადმი ყურადღებაც ერთგვარად მოდუნდა, იკლო მომეცადინეთა რიცხვმა.

საშუალო-სპეციალური სასწავლებლების აღსაზრდელთა დევიზი ასეთი იყო: ყველა კურსდამთავრებული — მშდ კომპლექსის ნიშნოსანი! და იგი მტკიცედ სრულდებოდა. დღეს კი...

სპეციალური განათლების საშუალო სასწავლებლებში მომავალი სასწავლო წლიდან ფიზკულტურას თითო საათი დაემატება. ე. ი. კვირაში მოწაფეებს 4-5 გაკვეთილი ჩაუტარდებათ. სამწუხაროდ, ამ დადგენილებაში გათვალისწინებული არ არის ბევრი რამ — ვარჯიშის ინტენსიურობა. კერძოდ, დღევანდელი მოთხოვნები რომ შესრულდეს, გაკვეთილის ბოლოს მოსწავლის პულსი 120-140 დარტყმამდე უნდა ავიდეს. მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მიზანი მიღწეულად. ეს კი, თუ ჩვენი სასწავლებლების დღევანდელ მატერიალურ ბაზას გავითვალისწინებთ, ძნელი მისაღწევია. მაშასადამე, საჭიროა სათანადოდ აღჭურვილი დარბაზებიც.

დაბოლოს, დღეს ჩვენში უამრავი სპორტსკოლაა. ამას ემატება ოლიმპიური რეზერვის სკოლები, სხვადასხვა ცენტრი, სპეციალური კლასები და ა. შ. სამწუხაროდ, ჩვენ მსგავსი ცენტრებით განებივრებულნი არა ვართ. იქნებ ჩვენს ყრილობას ეფიქრა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენს სასწავლებლებს, სადაც 15-35 წლამდე ასაკის მოსწავლეები ირიცხებიან და მათში ძალიან ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი შეიძლება იყოს. ამის დასტურად წარსულში ჩვენს ტექნიკუმებში აღზრდილი ცნობილი ოსტატი-სპორტსმენების ედუარდ ლომთაძისა და გიორგი სტეპანოვის, ტატამის ნამდვილი რაინდების რამაზ ხარშილაძისა და ანზორ კიკნაძის მაგალითიც გამოდგებოდა.

### შენდება ახალი კომპლექსი

**ზამთრის** არდადეგებიდან დაბრუნებული თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები უჩვეულო სურათის მოწმენი გახდნენ: სასწავლებლის ეზოში ექსკავატორი იდგა და მიწას თხრიდა.

— რა მოხდა? — გაკვირვებული კითხულობდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები.

დღეს ყველა „პუშკინელმა" იცის, რომ მათი დიდი ხნის ოცნებას ფრთები ესხმება — რექტორატის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სპორტული კლუბისა და ფიზაღზრდის კათედრის თაოსნობით და აქტიური ჩარევით სასწავლებელს სამდარბაზიანი კომპლექსი უშენდება. მიმდინარე წლის თებერვლიდან სამუშაოების შესრულებას შეუდგა ტრესტ „საქსპორტრემმშენის" პირველი სამმართველო (უფროსი ნოდარ პირველი, სამუშაოთა მწარმოებელი ბესიკ მეავანაძე).



### ათვლა იწყება...



**საქართველოს** პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ყრილობას ეძღვნება ბროშურა, რომელიც პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ ამ დღეებში გამოსცა. „ათვლა იწყება..." ასე ჰქვია ამ მოხდენილ ნაშრომს, რომლის გარეკანზე დაბეჭდილია პროფკავშირების სპორტული საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენის მხატვრულ ტანვარჯიშში ნატო ლეშკაშელის ფოტოსურათი.

ბროშურაში, რომელიც უხვადაა ილუსტრირებული, ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობიან ყრილობის დელეგატები. მასში დაბეჭდილია სპორტული საზოგადოების ყველა სპორტული მონაცემები და სპორტსმენთა მიღწევები. შრომით კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვით მიღებულ შედეგებზე საუბრობენ მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელები. ბროშურა დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში.

### რაისაბჭოს სპარტაკიადა

**თერჯოლაში** მოეწყო პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რაისაბჭოს სპარტაკიადა, რომელიც ლენინური კომკავშირის 70 წლისთავს მიეძღვნა.

აქ ჩატარდა შეჯიბრება შაშში. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ნახშირღელის კოლმეურნეობის გუნდმა (შემადგენლობა: ლალი ვირსალაძე, ლელა ლანჩავა, თენგიზ, ამირან და მურთაზ ხუჯაძეები, ლ. ჭიშიაშვილი), მეორე და მესამე ადგილი, შესაბამისად — ბარდუბნის კოლმეურნეობისა და მაუდის ფაბრიკის მოშაეებმა.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ვანო კუტალაძე,**
„ლელოს" კორესპონდენტი.

### ექვსნი — ნაკრებში

**16 მარტს** კიშინიოვი ძიუდოში ქვეყნის ჩემპიონატს უმასპინძლებს. მანამდე კი თავიანთ პირველობებს ატარებენ სპორტული საზოგადოებები და უწყებები, რათა გამოავლინონ უძლიერესები და დააკომპლექტონ ნაკრები გუნდები ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

იქვე, კიშინიოვში ამ დღეებში გაიმართა პროფკავშირების სპორტული საზოგადოების ძიუდოისტთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს ნაკრები გუნდიც გამოდიოდა.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი მერაბ ჯალაბაძე, ასპარეზობის მესამე პრიზიორები გახდნენ: თემურ აბუაშვილი (95 კგ), ბესიკ ხაჩიშვილი (65 კგ, ორივე — გორი) და ქარელელი ბესიკ კოკოევი (78). ამ სპორტსმენთა გარდა პროფკავშირების საკავშირო ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს არსენ ახალაძე (გორი) და ჯონდო მუზაშვილი (მცხეთა).

### ღირსეული გამარჯვება

**ამ დღეებში** ვანში დამთავრდა პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველი პირადი პირველობა 64-უჯრედიან შაშში. 11 შესაძლებლიდან 11 ქულით I ადგილი და გამარჯვებულის წოდება ღირსეულად მოიპოვა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლალი ჩომახიძემ.

8,5 ქულით II ადგილზე გავიდა მკერავი ლია ღირდაძე, 7 ქულით III ადგილზეა სამტრედიელი მეექვსეკლასელი შორენა გაბეჩავა.

**იორამ ნიკოლეიშვილი,**
სამტრედია.

## აქტიურად ისვენებენ

**მზე,** მონაწილენი, საშეჯიბროდ მზადყოფნა ეს ყველაფერი იყო გაერთიანება „ელექტროაპარატის" სპორტულ მოედნებზე, სადაც მინიფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბაგირის გადაძალვაში გასულ შაბათს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის", სამშენ მასალათა კომბინატის, ინსტრუმენტალური ქარხნის, სისხლის გადასხმის კვლევითი ინსტიტუტის, მესამე სახლმშენებელი კომბინატის მუშა-მოსამსახურეები.

...ფრენბურთისა და მინიფეხბურთის მოედნებს თანდათან ემატებოდნენ მაყურებლები და მომდევნო მატჩების მონაწილენი. გამამხნევებელ შეძახილებში ქალთა ხმებიც გამოკრთოდა ხანდახან. გულშემატკივართა მხარდაჭერამ მოასპარეზეებზეც იმოქმედა და თითქმის ყოველი შეხვედრა უკომპრომისო ხასიათისა იყო. გუნებაგანწყობა ორგანიზატორებსაც არ ჰქონდათ ურიგო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბოლომდე კმაყოფილნი მაინც არ იყვნენ.

— როგორც იცით, ზემოთ ჩამოთვლილი კოლექტივები ტერიტორიულად საბურთალოსა და ორჯონიკიძის რაიონებს ეკუთვნიან. შეჯიბრების გამართვა ამავე რაიონებში ბევრად უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ თავისუფალი სპორტული ბაზის მონახვა ვერ მოვახერხეთ. რა თქმა უნდა, მადლობლები ვართ ლენინის რაიონის სპორტული და გაერთიანება „ელექტროაპარატის" ხელმძღვანელობისა, რომლებმაც თავიანთი მოედნები დაგვითმეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეჯიბრებები მონაწილე საწარმოების და დაწესებულებების ახლოს რომ ჩაგვეტარებინა, ასპარეზობის მსურველნი უფრო მეტი იქნებოდა, — გვითხრა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურული სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე გვარამაშვილმა.

როგორც შევიტყვეთ, საბჭო აპირებს მსგავს ღონისძიებებს რეგულარული ხასიათი მისცეს და ყოველ შაბათ-კვირას ორი რაიონის საწარმოო კოლექტივებს გაუწიოს შეფობა. რა თქმა უნდა, ძალზე სასარგებლო წამოწყებაა და ვფიქრობთ, სამომავლოდ ქალაქის სპორტის მესვეურნიც და სპორტული ბაზების ხელმძღვანელებიც ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს.

**კობა ახალგედაშვილი.**









# საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსმენთა წარმატება

## საზოგადოების 1987 წლის სპორტული ლაურეატები

### მსოფლიო ჩემპიონი

გურამ გედეხაური — კლასიკური ჭიდაობა

### მსოფლიო თასის მფლობელები

გურამ გედეხაური — კლასიკური ჭიდაობა
ზაურ ივანაშვილი — კლასიკური ჭიდაობა

### ევროპის ჩემპიონები

კობა კურტანიძე — ძიუდო
გიორგი ჩოგოვაძე — წყალში ხტომა

### სსრ კავშირის ჩემპიონები

კობა კურტანიძე — ძიუდო
გიორგი ჩოგოვაძე — წყალში ხტომა
ხრისტინა ფალასანიდი — სინქრონული ცურვა

### სსრ კავშირის თასის მფლობელები

ხარლამ სიმონია — ცხენოსნობა
დიანა მჭედლიძე — წყალში ხტომა
ანა როსტიაშვილი — წყალში ხტომა
გიორგი შელიუგოვი — წყალში ხტომა
გიორგი სირბილაძე — აკად. ნიჩბოსნობა
ნიკოლოზ მიქაუტაძე — აკად. ნიჩბოსნობა

## პრიზიორები

### მსოფლიო თასი

გიორგი ჩოგოვაძე — წყალში ხტომა, II ადგილი

### ევროპის ჩემპიონატი

ხრისტინა ფალასანიდი — სინქრონული ცურვა, II ადგილი

### სსრ კავშირის ჩემპიონატები

გურამ გედეხაური — კლასიკური ჭიდაობა, II ადგილი
ხარლამ სიმონია —ცხენოსნობა, II ადგილი
მაია აზარაშვილი — მძლეოსნობა, II ადგილი
მაია აზარაშვილი — მძლეოსნობა, III ადგილი
გიორგი ჩოგოვაძე — წყალში ხტომა, II ადგილი

### სსრ კავშირის თასის პრიზიორები

ანა როსტიაშვილი — წყალში ხტომა, III ადგილი
დიანა მჭედლიძე — წყალში ხტომა, III ადგილი
ლელა მამიაური — სინქრონული ცურვა, II-III ადგილი
ნინო გელაშვილი — სინქრონული ცურვა, II ადგილი
მაია აზარაშვილი — მძლეოსნობა, II ადგილი
მაია აზარაშვილი — მძლეოსნობა, III ადგილი.

## მსოფლიო, ევროპისა და სსრ კავშირის 1987 წლის პირველობების გამარჯვებულები და პრიზიორები

### მსოფლიო პირველობა

თენგიზ თედორაძე — კლასიკური ჭიდაობა

### ევროპის პირველობა

(ჭაბუკები)

გიორგი ხინჩაგაშვილი — თავისუფალი ჭიდაობა
აკაკი გაბედავა — თავისუფალი ჭიდაობა

### სსრ კავშირის პირველობა

გერასი ხაბულიანი — ძიუდო (ჭაბუკებში)
ზაზა დაბრუნდაშვილი — ძიუდო (ჭაბუკებში)
დავით გელთაძე — თავისუფალი ჭიდაობა (იუნიორებში)
თენგიზ თედორაძე — კლასიკური ჭიდაობა (იუნიორებში)
კახა კახიაშვილი — ძალოსნობა (იუნიორებში)
სტელა პრიახინა — ველოსპორტი (გოგონებში)
ალექსანდრ პალუხინი — ველოსპორტი (ჭაბუკებში)
ვასილ დავიდენკო — ველოსპორტი (ჭაბუკებში)
ნინო მაისურაძე — ცურვა
ელისო მარგველაშვილი — ცურვა
ამირან ტოტიკაშვილი — ძიუდო (იუნიორებში)

### სსრ კავშირის პირველობის პრიზიორები

კახაბერ გაგუა — კლასიკური ჭიდაობა (ჭაბუკებში)
აკაკი გაბედავა — თავისუფალი ჭიდაობა (II, ჭაბუკებში)
ზაზა დაბრუნდაშვილი — ძიუდო (III, ჭაბუკებში)
გია გაჩეჩილაძე — ძიუდო (III, ჭაბუკებში)
ზაზა ჩოქური — ძიუდო (III, ჭაბუკებში)
ალექსანდრე მირზაშვილი — სამბო (III, ჭაბუკებში)
იგორ არტემოვი — ცურვა (II, ჭაბუკებში)
ზვიად კაკიაშვილი — კრივი (III, ჭაბუკებში)
ნიკოლოზ ხორბალაძე — კრივი (III, ჭაბუკებში)
გენადი პეტრუხინი — წყალსათხილამურო სპორტი (II, III, ჭაბუკებში)
ხათუნა კორკელია — წყალსათხილამურო სპორტი (III, გოგონებში).
მამუკა შუბითიძე — ველოსპორტი (II, ჭაბუკებში)

## სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში მონაწილეობის შედეგები (1987 წ.)

| სახეობა | მონაწილე | ქულა | მედლები ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| კრივი | 7 | 38,0 | 3 | 2 | 2 |
| თავისუფალი ჭიდაობა | 6 | 22,0 | — | — | 3 |
| კლასიკური ჭიდაობა | 6 | 46,0 | — | 1 | 1 |
| სამბო | 15 | 124,0 | 3 | 3 | 2 |
| ძიუდო | 4 | 52,0 | 3 | — | — |
| ველოსპორტი (გზატკ.) | 5 | 41,34 | — | — | — |
| მხატვრული ტანვარჯიში | 3 | 70,0 | — | — | 1 |
| სპორტული ტანვარჯიში | 1 | 6,5 | — | — | — |
| აკადემიური ნიჩბოსნობა | 19 | 40,0 | 1 | — | 1 |
| ნიჩბოსნობა ბაიდარ. (კან.) | 3 | 8,0 | — | — | 0,25 |
| მძლეოსნობა | 10 | 32,0 | — | — | 1 |
| წყალში ხტომა | 3 | 75,0 | — | 1 | — |
| ძალოსნობა | 11 | 76,0 | 1 | 1 | — |
| ტყვიის სროლა | 2 | 1,0 | — | — | — |
| ფარიკაობა | 9 | 111,5 | — | — | — |
| ცურვა | 27 | 83,5 | — | — | — |

# კალგარი... ბაკურიანით დაიწყო

(დასასრული)

ოლიმპიელებს ერთი წუთითაც არ მოკლებიათ ზრუნვა-ყურადღება. მერწმუნეთ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ისეთი საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ, როგორიცაა ოლიმპიადა. საბჭოთა ნაკრებმა, დაწყებული 1968 წლის მეათე თამაშებიდან, ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედლები. ჩვენი ბიჭები თავს არც ამჟამად შეირცხვენენ, რაშიც თქვენებური მასპინძლობის დიდი წვლილიც იქნება.

**ვლადიმერ სოროკინი** — სსრ კავშირის ორჭიდელთა ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი:

— ძალიან კმაყოფილი ვართ მასპინძლობით და მზადებით. საუკეთესოდ იყო მომზადებული როგორც 70-მეტრიანი ტრამპლინი, ისე სარბოლო ტრასა. ამინდიც ჩინებული დაგვიდგა. ყველაფერში იგრძნობა, რომ ამ დღეებში თქვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა და პირველ რიგში, ცხადია, ბაკურიანელები, [illegible] ძლება ასე ითქვას, ოლიმპიელთა ხელშეწყობის ინტერესებით ცხოვრობენ. საერთოდ ბაკურიანი, ჩემის აზრით, ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ხელსაყრელი ცენტრია ოლიმპიელთა მზადებისათვის. აქვე გეტყვით, რომ ქვეყნის ნაკრებს ზამთრის ოლიმპიადებზე არასოდეს დაუკავებია საპრიზო ადგილები, ახლა კი ჩვენს ორჭიდელებს ოლიმპიური მედლის ჩამოტანა აქვთ დაგეგმილი.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ...რომ არაფერი ყოფილიყო სადავო

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. 3 მარტი.

**„დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 100:98 (56:46).**

**„დინამო“: კაპუსტინი (34), დარსაძე (21), ტიუბინი (13), ოპოშნიანი (13), კოლიჩევი (9), დერიუგინი (8), სანაძე (2).**

**„სტროიტელი“: კოვტუნი (26), ორეხოვი (24), სილვესტროვი (17), შაპტალა (15), პოდკოვიროვი (8), პინჩუკი (5), ბოგდანოვი (3), კოსენკო, ვოროტნიუკი.**

**მსაჯები: მ. გრიგორიევი და ე. რესერი (ორივე — მოსკოვი).**



თბილისის „დინამოსა“ და კიევის „სტროიტელის“ პირველი სუპერფინალური მატჩი მშვიდად დაიწყო და განვითარდა, დასრულდა კი საკმაოდ ნერვიულ ატმოსფეროში. კალათბურთს, ისევე როგორც სხვა სპორტულ თამაშებს ერთი მტკიცე კანონი აქვს: ნებისმიერი გართულების თავიდან ასაცილებლად, უპირატესობა, რომელსაც თამაშით მოიპოვებ, უნდა შეინარჩუნო და შეძლებისდაგვარად გააღრმავო, რომ არაფერი დარჩეს სადავო.

დინამოელებს ამ მატჩში გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდათ: ისინი თამაშობდნენ შინ, საკუთარი გულშემატკივრების მხარდაჭერით გამხნევებულნი, „სტროიტელი“ კი მოკლებული იყო ყველაფერ ამას და კიდევ თავისი ლიდერის ბელოსტენის დახმარებას. რომელიც, თუ ხმებს დავუჯერებთ, ტრავმის გამო ვერც მომდევნო შეხვედრებს ჩაატარებს, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფსიქოლოგიური პათოსი მასპინძელთა გუნდს ტაიმნახევარი გაჰყვა.

პირველი ნახევრის ანგარიში დინამოელთა უპირატესობას მხოლოდ ნაწილობრივ გამოხატავდა. სხვაობა უფრო დიდიც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ საფრთხე არსაიდან არ ჩანდა და მასპინძლებიც ათქულიან უპირატესობას დასჯერდნენ.

შესვენების შემდეგაც, კარგა ხანს მდგომარეობა სტაბილური იყო, ხოლო როცა ანგარიშში სხვაობამ 17 ქულას მიაღწია (67:50), მატჩის ბედი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი გვეგონა. ასე ვფიქრობდით ტრიბუნებზე მსხდომნი, ასე ფიქრობდნენ ალბათ კიეველებიც.

მერე? არც მერე მომხდარა რაიმე განსაკუთრებული. ერთი ორი შეტევა არ გამოგვივიდა — სტუმრებმა იგი დროულად ჩაჭრეს, არ გამოგვივიდა ერთი-ორი სამქულიანი სროლაც. მერე რა? 17-ქულიანი სხვაობა სხვა არანაკლებ ეფექტური ვარიანტების გამოყენების საშუალებას იძლეოდა. ოღონდ საჭირო იყო მდგომარეობის უფრო სალად შეფასება და ნერვების დამშვიდება. მოვლენების ფორსირებაზე ჩვენ კი არა, მეტოქეებს უნდა ეზრუნათ.

მოხდა კი პირიქით — დინამოელთა ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, დაირღვა თამაშის მექანიზმი, ანერვიულდნენ სპორტსმენები, ტრიბუნები და სადღაც 36-ე წუთისთვის, ისე რომ მოხედვაც ვერ მოვასწარით, წინ უკვე სტუმრები გავიდნენ (74:73). სხვათა შორის „სტროიტელისთვის“ ამ აშკარად ხელსაყრელ მომენტში, მისი უპირატესობა მაინც საეჭვო ჩანდა. ოღონდ ეს იყო, რომ თბილისელებმა დროზე ვერ აუღეს ალღო სიტუაციას და მდგომარეობის გამოსწორებას ერთი ორად უფრო მეტი ენერგია შეალიეს.

ეს გახლდათ კრიტიკული, გუნდისთვის ყველაზე მძიმე წუთები, რომელიც კაპუსტინმა, მოგვიანებით კი დარსაძემაც, ფაქტიურად, უნაკლოდ ჩაატარეს. მატჩის ბედიც სწორედ ამ მოთამაშეთა სამქულიანმა სროლებმა გადაწყვიტა.

განმეორებითი შეხვედრის (ან შეხვედრების) წინ ორივე გუნდი რთული პრობლემების წინაშე დგას. „სტროიტელმა“ ზედიზედ ორი მატჩი უნდა მოიგოს (სხვაგვარად ბრინჯაოს მედლები ხელიდან გაუსხლტება), რაც მან წლევანდელ გათამაშებაში თავის მოედანზეც კი ვერაფრით მოახერხა. თბილისელებს ერთი გამარჯვებაც ეყოფნით, მაგრამ ეს გამარჯვება მათ სეზონის ყველაზე მთავარ მატჩში მეტოქის მოედანზე უნდა მოიპოვონ. ესეც არანაკლებ რთული საქმეა...

**ნოდარ ბუბუშვილი.**

● ● ●

კაუნასში გაიმართა სუპერფინალის პირველი მატჩი. „ჟალგირისი“ დამარცხდა მოსკოვის არმიელებთან — 80:87 (28:51). განმეორებითი შეხვედრა დღეს გაიმართება მოსკოვში.

# მატჩი „გეტებორგთან“

**საკონტროლო** ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად საქართველოში ჩამოვიდა უეფა-ს თასის ორგზის მფლობელი, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბი შვეციის „გეტებორგი“.



სტუმრებს ორი ამხანაგური მატჩის ჩატარება აქვთ დაგეგმილი, პირველი მათგანი — თბილისის „დინამოსთან“ ქალაქ რუსთავში გამართა 3 მარტს, დინამოელთათვის ეს საწვრთნელი მატჩი ერთგვარი გენერალური რეპეტიციაც იყო საბჭოთა კავშირის 51-ე ჩემპიონატის „კვირაძალზე“. ასეთ ტიტულოვან სპარინგ-პარტნიორთან შეხვედრას მოსამზადებელი პერიოდის ბოლო ეტაპზე ბევრ შეკითხვაზე შეეძლო პასუხი გაეცა.

თამაში იმით დაიწყო, რომ პირველივე წუთზე მესხმა დრიბლინგით აუარა გვერდი ორ მცველს და ზუსტად ჩააწოდა მეკარის საჯარიმო მოედანზე. აქ ბურთთან პირველი გაჩნდა ქეცბაია, რომლის დარტყმის შემდეგ, სტუმართა კარი აშკარად გადაურჩა გოლს. დინამოელებმა დასაწყისი აქტიურად ჩაატარეს, მათი უპირატესობა 36-ე წუთზე გ. კეტაშვილმა გოლით დააგვირგვინა. მან დროულად შენიშნა, რომ „გეტებორგის“ მეკარე ტორსტვედი არ იდგა სწორ პოზიციაზე და შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. ტაიმის დასასრულს თამაში ძირითადად მინდვრის შუაში მიმდინარეობდა, „გეტებორგის“ ნახევარმცველთა ცდას, ხელთ ეგდოთ თამაშის სადავეები, შედეგი არ მოჰყოლია. კარგად ითამაშა თბილისელთა მარცხენა გარემარბმა მესხმა, მის სწრაფ ფლანგურ გარღვევებს არაერთხელ ჩაუყენებია სტუმრების დაცვა მძიმე მდგომარეობაში.

დინამოელთა შეტევებს სტუმრები შესვენების შემდეგაც ეპიზოდური კონტრშეტევებით პასუხობდნენ, მაგრამ თბილისელთა მეკარეს ჭანტურიას თავის კოლეგასთან შედარებით გაცილებით ნაკლები ჯაფა ადგა. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე მოუხდა მას სვენსონის უძლიერესი დარტყმის მოგერიება. „გეტებორგის“ ფეხბურთელების ცდას, შეეცვალათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **„დინამო“ — ჭანტურია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჭედია, ფირცხალავა, ტყებუჩავა, გუბაზ, სულაქველიძე, ქეცბაია (ფანცულაია), გურული, მესხი; „გეტებორგი“ — ტორსტვედი, ინგესონი, მორდტი, ფორსბერგი, ანდერსონი, კარლსონი, ე. ნილსონი, ფრიობერგი, ნ. ნილსონი (ერიქსონი), ხვენსონი, იუჰანსონი (ფორტეხი).**

5 მარტს შვედი ფეხბურთელები ამავე სტადიონზე კიდევ ერთ მატჩს გამართავენ. ადგილობრივ „მეტალურგთან“.

**ზაზა კახაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციოლოგია და სპორტი — როგორია საზოგადოებრივი აზრი?

# უფრო უკეთ, უფრო შინაარსიანად

**13 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყო სპორტული ზეიმი, რომელიც გასული წლის შედეგებს მიეძღვნა. 1987 წელმა სპორტის ქართველ გულშემატკივრებს ბევრი სიხარული მოუტანა. რესპუბლიკის სპორტსმენებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო თუ საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებზე როგორც რესპუბლიკისათვის ტრადიციულ, ახევე სპორტის სხვა სახეობებში. ზოგ ტრადიციულ სახეობაში კი, სამწუხაროდ, ჩვენმა სპორტსმენებმა დათმეს პოზიციები და ქართველ გულშემატკივარს იმედი გაუცრუეს. ზეიმი, რა თქმა უნდა, გასული წლის წარმატებების გახსენება იყო, მაგრამ იგი მხოლოდ წარსულის გასახსენებლად არ გამართულა — სპორტული ზეიმი სამომავლო წარმატებათა იმედის გამოხატულებაც იყო.**

**გთავაზობთ საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციოლოგიის განყოფილების მიერ მომზადებულ ანკეტას, რომელიც დაგვეხმარება გავარკვიოთ, როგორ აფასებს სპორტის ქომაგი გასული წლის მოვლენებს, რამდენად ეფექტურად მიაჩნია ის საქმიანობა, რომელსაც ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები და დაწესებულებები ეწევიან. ანკეტა კითხვების გარდა გთავაზობთ პასუხების ვარიანტებს. აღნიშნეთ იმ პასუხის (ან პასუხების) ნომერი, რომელსაც თქვენ ეთანხმებით. თუ ზოგ საკითხზე თქვენი შეხედულება არ შეესაბამება პასუხებში გამოთქმულ მოსაზრებებს, შეგიძლიათ თქვენი აზრი ჩაწეროთ საგანგებოდ დატოვებულ თავისუფალ ადგილებზე, ან გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდილებები წერილობით. შევსებული ანკეტა გამოგვიგზავნეთ „ლელოს" რედაქციაში. კონვერტზე წააწერეთ „საზოგადოებრივი აზრი".**

**წინასწარ გიხდით მადლობას ყურადღებისთვის!**

**სპორტის სასახლეში გამართულ ღონისძიებას ბევრი გულშემატკივარი და სპორტის მოყვარული დაესწრო. თქვენ თუ იყავით ზეიმზე?**

1. მქონდა ზეიმზე დასწრების სურვილი და დავესწარი კიდეც
2. ზეიმზე დასწრების დიდი სურვილი არ მქონია, მაგრამ მქონდა ამის საშუალება და ის საღამო სპორტის სასახლეში გავატარე
3. ზეიმზე ყოფნის დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ დასწრება ვერ მოვახერხე დროის უქონლობის გამო
4. ზეიმზე ყოფნის დიდი სურვილი კი მქონდა, მაგრამ ვერ დავესწარი, რადგან არ მქონდა მოსაწვევი ბარათი. სიამოვნებით ვნახავდი ზეიმს ტელეეკრანზე
5. ზეიმზე ყოფნის დიდი სურვილი არ მქონია და არც დავსწრებივარ
6. სხვა (ჩაწერეთ) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**თუ დასწრებოდით ზეიმს, ან გსმენიათ რაიმე მის შესახებ, ხომ არ გვეტყოდით, თქვენი აზრით, როგორ ჩაიარა ზეიმმა**

1. ვთვლი, რომ ღონისძიებამ საინტერესოდ ჩაიარა, მაყურებელი კმაყოფილი დარჩა.
2. ჩემი აზრით, შეიძლებოდა ზეიმი უფრო საინტერესო ყოფილიყო
3. უმჯობესი იქნებოდა, ზოგიერთი „საკონცერტო" ნომერი შეგვეცვალა სპორტული თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციული გამოსვლით
4. ზეიმის ის ნაწილი, გასული წლის სახელოვან სპორტსმენებს რომ მიეძღვნა, კარგად იყო ორგანიზებული
5. ზეიმის „სპორტული" ნაწილი არც თუ ისე კარგად იყო ორგანიზებული
6. სხვა (ჩაწერეთ) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**რა აზრის ხართ სპორტული დიდების ხეივანზე, რომლის შესახებაც ზეიმზე იყო საუბარი?**

1. მოსაწონი თაოსნობაა
2. მიმაჩნია ზედმეტად
3. ამის შესახებ არაფერი მსმენია, არ მიფიქრია

**როგორ აჯობებდა მსგავსი ზეიმების ჩატარება?**

1. ვფიქრობ, არავითარი ცვლილებების შეტანა არ არის საჭირო
2. უმჯობესი იქნებოდა, ზეიმი წლის ბოლოს — დეკემბერში ან მომდევნო წლის დასაწყისში — იანვარში ჩატარებულიყო
3. აჯობებდა, „წლიური" ზეიმის გარდა მოგვეწყო „ნახევარწლიური" ზეიმიც
4. აჯობებს, ზეიმი ჩატარდეს (ჩაწერეთ სპორტის სასახლეში, სტადიონზე, ფილარმონიის დარბაზში, სხვაგან) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, შემაჯამებელ ზეიმს წინ რეგიონალური ან უწყებრივი კონკურსები რომ უძღოდეს?**

1. მიმაჩნია, რომ საკმარისია ერთი შემაჯამებელი შეხვედრა, ისეთი, როგორიც ტრადიციულად ტარდება
2. წლიურ შემაჯამებელ საზეიმო შეხვედრას წინ შეიძლება უძღოდეს უწყებრივი შემაჯამებელი შეხვედრები. კარგი იქნება, ესა თუ ის უწყება ან სპორტული საზოგადოება მაყურებლის წინაშე წარდგეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიღწეული სპორტული შედეგებით
3. ვთვლი, რომ უკეთესი იქნება, თუ წლიურ შემაჯამებელ საზეიმო შეხვედრას წინ რეგიონალურ შემაჯამებელ შეხვედრებს წავუმძღვარებთ
4. სხვა მოსაზრება (ჩაწერეთ) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**რა აზრის ხართ 1987 წლის საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენის შესახებ**

1. მიმაჩნია, რომ ათეულში შესული საუკეთესო სპორტსმენები ნამდვილად იმსახურებენ ამ აღიარებას
2. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ათეული ოდნავ განსხვავებული იქნებოდა
3. სხვა (ჩაწერეთ) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**როგორც ვიცით, ათეულში მოხვდნენ სპორტის ხუთი სახეობის წარმომადგენლები. ხომ არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ ოთხი მათგანი მოჭიდავეა, ორ-ორი — მხროლელი და მოჭადრაკე, ერთი წყალში მხტომელი და ერთიც ჩოგბურთელი? (თუ გსურთ რამდენიმე პასუხის აღნიშვნა, დაუკვირდით, პასუხები ურთიერთგამომრიცხავი არ იყოს).**

1. მივესალმები იმას, რომ ათეულში მოხვდნენ ზოგიერთ იმ სახეობათა წარმომადგენლები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ადრე მუდმივი წარმატებებით არ გამოირჩეოდნენ
2. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჭიდაობის ქართული სკოლის მიღწევები, რამაც განაპირობა ათეულში ოთხი მოჭიდავის შეყვანა
3. დასაშვებად მიმაჩნია ის, რომ ათეულში არ მოხვდნენ რესპუბლიკაში პრესტიჟული გუნდური სახეობების წარმომადგენლები. ჩვენთვის სპორტის ტრადიციული სახეობების გვერდით ათეულში დამსახურებისამებრ ახალი სახეობების წარმოჩენაც საჭიროა
4. ათეულში შევიდნენ სპორტის იმ სახეობების წარმომადგენლები, რომლებშიც სხვადასხვა დროს ქართულმა სპორტმა წარმატებებს მიაღწია. 1987 წლის ათეული მიგვანიშნებს იმაზე, რომ წარმატებებით მონაცვლეობით გამოირჩევიან სპორტის ერთი და იგივე სახეობები, რომ ქართული სპორტი ამ მხრივ კონსერვატულია.
5. ჩემი აზრით, ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ათეულში არ მოხვდნენ რესპუბლიკაში უაღრესად პოპულარული და პრესტიჟული სახეობების წარმომადგენლები. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ სახეობებში არასახარბიელო მდგომარეობა იყო
6. დადებით მოვლენად ვერანაირად ვერ მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ ათეულში ოთხი მოჭიდავეა. ათეულში ჭიდაობის ასეთი „ბატონობა" მიგვანიშნებს არა იმდენად იმაზე, რომ იმათა წარმატებებმა სპორტის ამ სახეობაში, არამედ იმაზე, რომ სხვაგან მოვისუსტეთ
7. სხვა (ჩაწერეთ) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**გთხოვთ გვითხრათ, გასული სპორტული წლის რომელი გამარჯვება იყო თქვენთვის ყველაზე ღირსსახსოვარი (ჩაწერეთ)** — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**გასული წლის რომელმა მარცხმა მოგაყენათ ყველაზე დიდი გულისტკივილი (ჩაწერეთ)** — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**დიდი სპორტი დიახაც რომ ძალზე პოპულარულია რესპუბლიკის მოსახლეობაში. ბევრი ქართველ სპორტსმენთა წარმატებებს პირად წარმატებად აღიქვამს, ვინაიდან ათლეტები თავიანთი მიღწევებით რესპუბლიკას ასახელებენ. დიდი სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, სპორტის მესვეურთა მზრუნველობის გარდა, გულშემატკივრობასთან ერთად აუცილებელია მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის აქტიურობა მასობრივ სპორტში. თქვენი აზრით, რა მდგომარეობაშია მასობრივი სპორტი და ფიზიკური კულტურა რესპუბლიკაში?**

1. მიმაჩნია, რომ რესპუბლიკაში მასობრივი სპორტი საკმაოდ განვითარებულია. მოსახლეობა ყოველთვის სიამოვნებით მონაწილეობს სპორტულ თამაშობებში და სხვა შეჯიბრებებში, თუ, რა თქმა უნდა, აქვს ამის პირობები
2. მიმაჩნია, რომ რესპუბლიკაში მასობრივმა სპორტმა დათმო პოზიციები. დღეს გართობის სხვა, უფრო მიმზიდველი ფორმები გამოჩნდა, რამაც აქტიურ სპორტსა და ფიზკულტურას მიმდევარი მოაკლო
3. სხვა (ჩაწერეთ) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**შეიძლება ინტერესის ზრდა თუ კლება სპორტისა და ფიზიკური კულტურისადმი გამოწვეული იყოს საზოგადოებაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებით, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული ფიზკულტურისა და სპორტის სფეროსთან, მაგრამ ამჯერად აი, რა გვაინტერესებს: თქვენი აზრით, რამდენად უწყობს ან არ უწყობს ხელს ინტერესის ზრდას ზოგიერთი ორგანიზაციის, ორგანოსა და დაწესებულების საქმიანობა. გთხოვთ ქვემოთ მოყვანილ სიაში ორგანიზაციის დასახელების გასწვრივ მოცემულ შვიდბალიან შკალაზე აღნიშნოთ ის ნიშანი, რომლითაც შეაფასებდით ორგანიზაციის საქმიანობას ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაციის თვალსაზრისით (გაითვალისწინეთ გამაჯანსაღებელი საქმიანობაც), მაქსიმალური დადებითი შეფასებაა +3, მაქსიმალური უარყოფითი —3.**

ძლიერ უწყობს ხელს ინტერესის ზრდას — სრულიად არ უწყობს ხელს ინტერესის ზრდას

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისის „დინამოს" სტადიონი | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| თბილისის სპორტის სასახლე | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონი | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| თბილისის საცურაო აუზი სანაპიროზე | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| სხვა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების სტადიონები, დარბაზები, საცურაო აუზები | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| ტელევიზია | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| რადიო | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| რესპუბლიკური პრესა | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| გაზეთი „ლელო" | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| საქალაქო ან რაიონული გაზეთები | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| სპორტსაზოგადოება „დინამო" | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| „შრომითი რეზერვები" | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| თბილისის არმიის სპორტკლუბი | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| „ლოკომოტივი" | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| განათლების სამინისტროს სპორტული სკოლების სისტემა | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| საქალაქო ან რაიონული სპორტული კომიტეტები | +3 | +2 | —1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| სხვა (ჩაწერეთ) | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| — — — — | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |
| — — — — | +3 | +2 | +1 | 0 | —1 | —2 | —3 |

**რესპუბლიკის სპორტსმენთა რომელი წარმატება იქნებოდა თქვენთვის ყველაზე სასიხარულო 1988 წელს (ჩაწერეთ)** — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**ყველაზე მეტად რესპუბლიკის სპორტსმენთა რომელი მარცხი გატკენდათ გულს 1988 წელს? (ჩაწერეთ)** — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**ახლა გვაცნობეთ ზოგი რამ თქვენს შესახებ:**

თქვენი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, რაიონი, სოფელი) — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

სქესი: 1. ქალი 2. მამაკაცი

ასაკი (ჩაწერეთ) — — — — — — — —

განათლება 1. საშუალო 2. სპეციალური 3. უმაღლესი

**თქვენი საქმიანობის სფერო**

1. მრეწველობა
2. სოფლის მეურნეობა
3. მომსახურების სფერო, ჯანდაცვა, ფიზკულტურა
4. კულტურა, განათლება, მეცნიერება, მართვა
5. მოსწავლე, სტუდენტი
6. დიასახლისი, პენსიონერი

**თქვენი საქმიანობის ხასიათი**

1. უმთავრესად სამმართველო
2. უმთავრესად შემოქმედებითი
3. უმთავრესად პრაქტიკული
4. უმთავრესად ავტომატიზებული
5. უმთავრესად მექანიზებული
6. უმთავრესად ფიზიკური

**პასუხები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი — 380096, ლენინის ქ. 14 „ლელო".**

## „პრიმიჯი" – „დინამო"

**რომი.** დამთავრდა ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირი. ბოლო შეხვედრაში ნოვოსიბირსკის „დინამო" დამარცხდა იტალიის „პრიმიჯისთან" — 71:76 (42:42). ამ შედეგის მიუხედავად ორივე მეტოქემ გაინაღდა სუპერფინალში თამაშის უფლება.

სატურნირო ცხრილი სუპერფინალების წინ გამოიყურება ასე:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „პრიმიჯი" | 10 | 9 | 1 | 19 |
| „დინამო" | 10 | 8 | 2 | 18 |
| „იადინსტვო" (იუგო.) | 10 | 6 | 4 | 16 |
| „სპარტა" (ჩეხ.) | 10 | 3 | 7 | 13 |
| „აგონი" (გფრ) | 10 | 3 | 7 | 13 |
| „ვერხალი" (საფრ.) | 10 | 1 | 9 | 11 |

## მეორე, საბედისწერო წრე

**სან-ანტონიო.** აშშ-ს ჩოგბურთელ ქალთა ზამთრის ღია ჩემპიონატში ლეილა მესხთან ერთად მეორე წრეში თამაშის უფლება კიდევ ორმა საბჭოთა სპორტსმენმა — ნატალია ზვერევამ და ლარისა სავჩენკომ მოიპოვა. ზვერევამ სასტარტო შეხვედრაში გრეთჰენ მაგერსი (აშშ) დაამარცხა — 7:5, 6:3, სავჩენკომ კი კამილა ბენჯამინი (აშშ) — 6:1, 5:7, 6:0.

მეორე წრეში, სამწუხაროდ, ზვერევა და მესხი დაწყვილდნენ. ამ ბრძოლაში უპრატესობა ზვერევას მხარეს იყო, რომელმაც გაიმარჯვა (6:2, 6:0) და მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვა.

არ გაუმართლა ლარისა სავჩენკოსაც. იგი დამარცხდა იაპონელ იცუკო ინოესთან — 1:6, 6:4, 1:6.

წყვილთა შეხვედრებში საბჭოთა ჩოგბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს. ზვერევამ და სავჩენკომ ამერიკულ დუეტს (ლუსი ალენი — კამილა ბენჯამინი) აჯობეს — 6:3, 6:3, მესხმა და ბულგარელმა კატერინა მალეევამ — იაპონელ ინოესა და არგენტინელ ანდრიანა ვილაგრანს — 6:4, 6:3.

**უიჩიტა.** აშშ-ს ამ ქალაქში ჩოგბურთელ ქალთა სხვა ტურნირი მიმდინარეობს. სვეტლანა პარხომენკომ მელისა გარნესთან (აშშ) გამარჯვების შემდეგ (3:6, 6:4, 6:3) მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

## „სპორტპროგნოზი"

**მერვე ტირაჟის შედეგები (20-21 თებერვალი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" მერვე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 20-21 თებერვალს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 6.153.974 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (6) მოგებამ 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (218) — 846 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (3.428) — 197 მანეთი.

მერვე ტირაჟის მოგებათა გაცემა — 1988 წლის 17 მარტიდან 17 აპრილამდე.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 5 მარტი.** დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა ციგურაობაში (გადაცემა ალმა-ათიდან) — **18.00 (2)**; ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადაცემა უნგრეთიდან) — **19.00 (2)** და **0.35 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის. მეორე სუპერფინალური მატჩი: ცსკა — „ჟალგირისი" (კაუნასი) — **20.00 (2)**.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო";

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სპგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05226